საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის **(პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი)** დაკავების წესთან დაკავშირებული ქულების მინიჭების განმსაზღვრელი ძირითადი მოთხოვნები:

1. **<u>უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი:</u>**

I. პროფილურზე (თითოეულზე) 3 ქულა (წარჩინებული - + 1 ქულა); II. თითოეულზე 1 ქულა (წარჩინებული - + 1 ქულა).

2. **<u>პედაგოგიური ან სამეცნიერო-კვლევითი სტაჟი:</u>**

I. სამეცნიერო-კვლევითი, 1 წელი – 1 ქულა; II. პედაგოგიური, 1 წელი - 2 ქულა.

3. **<u>აკადემიური ხარისხი:</u>**

I. დოქტორი (პროფილური) - 3 ქულა; II. დოქტორი (არაპროფილური) – 1 ქულა.

4. **<u>სილაბუსი:</u>**

I. დისციპლინასთან შინაარსობრივი შესაბამისობა - 1-დან 5 ქულამდე;

II. სწავლების მეთოდის სიცხადე, შესაბამისობა მიზნებთან და შედეგებთან, ნოვატორობა - 1-დან 5 ქულამდე;

III. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დისციპლინასთან შესაბამისობა, ხარისხი და მრავალფეროვნება - 1-დან 5 ქულამდე;

IV. სტრუქტურული გამართულობა და თანამედროვე მოთხოვნებთან, სტანდარტებთან მისი შესაბამისობა - 1-დან 5 ქულამდე.

ამ კრიტერიუმებით, ცალ-ცალკე ფასდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი თითოეული სილაბუსი, როგორც სწავლების სამივე საფეხურზე, ისე ერთსა და იმავე სწავლების დონეზე (შეიძლება იყოს რამდენიმე საგნის ან ერთი და იგივე საგნის, ოღონდ სხვადასხვა მოცულობის, კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე). შემდეგ, იკრიბება ყველა ცალკეული სილაბუსის ქულა და ვიღებთ საბოლოო შეფასებას, ერთ კონკრეტულ კრებით ციფრს.

პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი - საკონკურსო კომისიას წარუდგენს, სათანადო მიმართულების სწავლების სამივე საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) განკუთვნილ სილაბუსებს.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი-საკონკურსო კომისიას წარუდგენს, სათანადო მიმართულების სწავლების ორი

საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) განკუთვნილ სილაბუსებს.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი-საკონკურსო კომისიას წარუდგენს, სათანადო მიმართულების სწავლების პირველი საფეხურისათვის (ბაკალავრიატი) განკუთვნილ სილაბუსს.

ასისტენტი ახორციელებს სასემინარო და კვლევით მოღვაწეობას, პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა ან ასისტენტ-პროფესორის უშუალო ხელმძღვანელობითა და მითითებით. ის დამოუკიდებლად არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში (ლექციების კითხვა), არამედ ასისტენტირებას უწევს პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს ან ასისტენტ-პროფესორს. მათი დავალებითა და მეთვალყურეობით, სემესტრის მანძილზე შეუძლია ჩაატაროს არა უმეტეს 3 ლექცია-სემინარი. იგი ასევე დახმარებას უწევს პროფესორებს შუალედური გამოკითხვა-სემინარის, ტესტირების, კოლოქვიუმისა თუ სემესტრული გამოცდების ჩატარებაში.

პროფესორის მიერ წარმოდგენილი, სწავლების სამივე საფეხურისათვის განკუთვნილი სილაბუსები უნდა შეესაბამებოდნენ ჩვენი უნივერსიტეტის აკრედიტაცია გავლილი სათანადო მიმართულების სასწავლო პროგრამების შემადგენელ დისციპლინებს.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ასისტენტობის მსურველმა, კომისიას უნდა წარუდგინოს პროფილური მიმართულების 1 პროფესორის ან 2 ასოცირებული პროფესორის რეკომენდაცია. ერთიდაიგივე პირმა, მხოლოდ ერთ კანდიდატს შეიძლება გაუწიოს მსგავსი წერილობითი რეკომენდაცია.

5. <u>სასწავლო პროგრამების შემუშავების გამოცდილება და პროგრამის /მოდულის</u>

ხელმძღვანელობა:

I. შემუშავების გამოცდილება - 2 ქულა; II. ხელმძღვანელობა - 4 ქულა.

6. სპეციალობაში (პროფესიაში) გამოშვებული ჯგუფის ხელმძღვანელობა:

I. ერთი გამოშვებული ჯგუფი - 3 ქულა.

7. ადრე არსებული სამეცნიერო წოდება:

I. პროფესორი - 5 ქულა;

II. დოცენტი - 3 ქულა.

8. სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის პროფილური ნაშრომი (სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სტატია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სამეცნიერო აპარატით და გამოქვეყნებულია რეფერირებულ ჟურნალში ან კრებულში):

I. 1 ნაშრომი ადგილობრივ ჟურნალში ან კრებულში - 2 ქულა; II. 1 ნაშრომი უცხოურ ჟურნალში ან კრებულში- 3 ქულა.

9. წიგნი (უნივერსიტეტში არსებული წესის თანახმად, წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 80 გვერდზე ნაკლებს):

I. პროფილური სახელმძღვანელო - 1 ცალი - 10 ქულა;

II. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელო - 1 ცალი - 8 ქულა;

III. პროფილური მონოგრაფია – 1 ცალი - 9 ქულა;

IV. პროფილური ბროშურა, ბუკლეტი (მოცულობა 25-დან 79 გვერდამდე)- 1 ცალი - 5 ქულა;

V. პროფილური კატალოგი, ალბომი, ხელოვანის წერილების ან სხვა მასალის კრებული 3 ქულა;

VI. პროფილური სასწავლო-საცნობარო, მეთოდოლოგიური ლიტერატურა (ლექსიკონი, მეთოდოლოგიური მითითებანი, სასწავლო მასალა და სხვა.) – 5 ქულა;

VII. სამეცნიერო-პოპულარული (ან მიმოხილვითი ხასიათის) წიგნი - 4 ქულა;

VIII. პროფილური წიგნის, სტატიების კრებულის თარგმანი - 4 ქულა; IX. პროფილური სტატიის თარგმანი - 2 ქულა.

10. პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის, სტიპენდიის მიღება:

I. დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე - 3 ქულა; II. დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში, თითოეულზე - 5 ქულა.

11. პროფილურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა:

I. მომხსენებლის რანგში საქართველოში (ადგილობრივი), თითო შემთხვევა - 3 ქულა;

II. მომხსენებლის რანგში საქართველოში (საერთაშორისო), თითო შემთხვევა - 4 ქულა;

III. მომხსენებლის რანგში საზღვარგარეთ, თითო შემთხვევა - 5 ქულა;

IV. ორგანიზატორი - ადგილობრივი - 4 ქულა;

V. ორგანიზატორი - საერთაშორისო - 5 ქულა;

VI. საორგანიზაციო საბჭოს წევრი - ადგილობრივი - 2 ქულა; VII. საორგანიზაციო საბჭოს წევრი - საერთაშორისო - 3 ქულა.

12. სამეცნიერო ნაშრომებთან დაკავშირებით:

I. სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 4 ქულა;

II. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 3 ქულა;

III. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

IV. სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა (თითოეულზე) – 3 ქულა;

V. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

VI. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტ-ოპონენტობა (თითოეულზე) – 1 ქულა;

VII. სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

VIII. სტუდენტის საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა (თითოეულზე) - 2 ქულა;

IX. სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

X. საბაკალავრო ნაშრომის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 1 ქულა;

XI. სამაგისტრო ნაშრომის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

XII. სადოქტორო ნაშრომის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 3 ქულა.

*იგულისხმება უკვე დაცული, კონფერენციაზე წაკითხული ან გამოქვეყნებული ნაშრომი.

13. სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა:

I. სამეცნიერო (თითოეულზე) – 2 ქულა;

II. სარედაქციო (თითოეულზე) - 1 ქულა.

14. წიგნის, კრებულის რედაქტორობა, რეცენზენტობა, კონსულტანტობა:

I. პროფილური სახელმძღვანელოს რედაქტორობა (თითოეულზე) – 3 ქულა;

II. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს/სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა

(თითოეულზე) – 2 ქულა;

III. პროფილური მონოგრაფიის რედაქტორობა (თითოეულზე) – 3 ქულა;

IV. პროფილური სახელმძღვანელოს რეცენზენტობა (თითოეულზე) – 2 ქულა;

V. პროფილური დამხმარე სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის რეცენზენტობა

(თითოეულზე) - 1 ქულა;

VI. პროფილური წიგნის კონსულტანტობა (თითოეულზე) – 1 ქულა.

15. პროფილურ საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა და ხელმძღვანელობა:

I. ადგილობრივი (თითოეული) – 1 ქულა;

II. საერთაშორისო (თითოეული) – 2 ქულა;

III. ადგილობრივი - ხელმძღვანელობა (თითოეული) - 3 ქულა;

IV. საერთაშორისო - ხელმძღვანელობა (თითოეული) - 4 ქულა.

16. პროფესიული საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წევრობა, ექსპერტობა:

I. ადგილობრივი ორგანიზაცია - 1 ქულა; II. საერთაშორისო ორგანიზაცია - 2 ქულა; III. ექსპერტობა - 2 ქულა.

17. საკვალიფიკაციო კომისიათა წევრობა, თავმჯდომარეობა: I. ბაკალავრიატი:

ა) საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (თითოეული) – 1 ქულა;

ბ) თავმჯდომარეობა (თითოეული) – 2 ქულა.

II. მაგისტრატურა:

ა) საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (თითოეული) – 2 ქულა;

ბ) თავმჯდომარეობა (თითოეული) – 3 ქულა.

III. დოქტორანტურა:

ა) საკვალიფიკაციო ნაშრომთა დაცვის კომისიის წევრობა (თითოეული) – 3

ქულა;

ბ) თავმჯდომარეობა (თითოეული) – 4 ქულა.

18. <u>სადისერტაციო საბჭოში მოღვაწეობა:</u>

I. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობა (1 ვადა) – 5 ქულა;

II. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობის მოადგილეობა (1ვადა) – 4 ქულა;

III. სადისერტაციო საბჭოს მდივნობა (1 ვადა) – 3 ქულა.

IV. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის თავმჯდომარეობა (1 ვადა) - 4 ქულა.

19. <u>საჯარო ლექციის ჩატარება:</u>

იმ შემთხვევაში თუ ერთ ვაკანტურ ადგილზე, ორმა ან რამდენიმე კონკურსანტმა დააგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს საჯარო ლექციის ჩატარება. კონკურსანტი საკუთარი სილაბუსიდან, ნებაყოფლობით ირჩევს ერთი ლექციის საკითხს და შესაბამისი სწავლების საფეხურის სტუდენტებთან ატარებს ლექციას, რომელსაც ესწრება საკონკურსო კომისია და ფაკულტეტიდან, შესაბამისი მიმართულების ლიდერი (ან აკადემიური თანამდებობის მქონე პირი). ლექცია ფასდება 20 ქულიანი სისტემით. საჯარო ლექციის ჩატარების შემთხვევაში კეთდება ვიდეო ჩანაწერი. კომისია საჯარო ლექციას აფასებს 10 ქულიანი სისტემით:

I. ცოდნა - 0-დან 5 ქულამდე;

II. ახსნისა და გადმოცემის უნარი - 0-დან 5 ქულამდე. ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენელი ლექციას აფასებს 5 ქულიანი სისტემით:

I. არადამაკმაყოფილებელი - 0;

II. დამაკმაყოფილებელი - 1;

III. საშუალო - 2;

IV. კარგი - 3;

V. ძალიან კარგი - 4; VI. ფრიადი - 5.

კომისია ატარებს იმ სტუდენტთა გამოკითხვას, ვისაც ჩაუტარდა საჯარო ლექცია. სტუდენტები ლექციას ასევე 5 ქულიანი (იგივე პრინციპით, როგორც წინა შემთხვევაში, ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენელი აფასებდა) სისტემით აფასებენ. საბოლოოდ, კომისია კრებს ქულებს და გამოჰყავს საერთო ჯამი (0-დან 20 ქულამდე ფარგლებში). მიღებული საბოლოო ციფრი განსაზღვრავს კონკურსში გამარჯვებულის

ვინაობას.

20. გასაუბრება:

გარდა საჯარო ლექციისა, კომისია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოაწყოს ამა თუ იმ კონკურსანტთან გასაუბრება, რომელიც ქულით არ ფასდება.

დამატებითი მოთხოვნები:

1. **პროფესიული პროფილური პრემია:**

I. რუსთაველის სახელობის - 5 ქულა;

II. სახელმწიფო - 4 ქულა;

III. სახელობითი - 3 ქულა; IV. ყოველწლიური და ა. შ. – 2 ქულა; V. უცხოური - 3 ქულა.

2. **პროფესიული მოღვაწეობისათვის მიღებული მადლობა, სიგელი, სამთავრობო ჯილდო:**

I. მადლობა - 1 ქულა;

II. სიგელი - 2 ქულა;

III. ჯილდო - 3 ქულა.

3. **პროფესორის რეიტინგი სტუდენტთა ანკეტური ანონიმური გამოკითხვის მიხედვით:**

I. მაღალი რეიტინგი (90%- 100%) - 5 ქულა;

II. რეიტინგი -(80% -90%) - 4 ქულა;

III. რეიტინგი - (70%- 80%) - 3 ქულა.

4. **საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება(უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო/პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება):**

I. *უცხოეთისუნივერსიტეტებშისამეცნიერო/პედაგოგიურიმუშაობა*-თითოეული ვიზიტი 5 ქულა;

II. *კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრეინინგის, ვორქშოფის ჩატარება*-თითოეული **4** ქულა.

5. **უცხო ენის ფლობა:**

ნებისმიერი უცხო ენა - თითოეულის ცოდნა 3 ქულა.

საბუთის სახით, წარმოდგენილ უნდა იყოს სათანადო დოკუმენტი (სერთიფიკატი და ა.შ.); ამგვარი საბუთის არ ქონის შემთხვევაში, კონკურსანტს გაესაუბრება სათანადო ენის

მცოდნე სპეციალისტი. საკონკურსო კომისიას ამის შემდეგ წარედგინება ამ სპეციალისტის დასკვნა.

*კონკურსანტის ყოველი მონაცემი სათანადო დოკუმენტაციით, საბუთით უნდა იყოს დამტკიცებულ-დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია შეფასების, ქულის გარეშე ტოვებს დაუსაბუთებელ მონაცემს.

პროფესორის კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურსანტს, რომელიც აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უძღვებოდა პროფილურ სასწავლო კურსს ან მოდულს 6 წლის განმავლობაში; ასოცირებული პროფესორის კონკურსში კი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურსანტს, რომელსაც გააჩნია აკრედიტებულ უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 3 წლის სტაჟი; ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, რომელსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 1 წლის სტაჟი (საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფი პედაგოგის ან ასისტენტის რანგში); ასისტენტის თანამდებობის დაკავების მსურველი უნდა იყოს დოქტორანტი და საკონკურსო კომისიას უნდა წარმოუდგინოს შესაბამისი მიმართულების ლიდერის (ხელმძღვანელის), პროფესორის ან ამ მიმართულების 2 ასოცირებული პროფესორის რეკომენდაცია. მიმართულების ლიდერს (ხელმძღვანელს), პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს უფლება აქვს, მხოლოდ ერთ კანდიდატს მისცეს ამგვარი რეკომენდაცია და არა რამდენიმეს.

მინიმალური ზღვარი: აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმალური ქულების შემდეგი რაოდენობა:

- პროფესორი - 80 ქულა;
- ასოცირებული პროფესორი - 60 ქულა;
- ასისტენტ-პროფესორი -30 ქულა;

- ასისტენტისათვის ქულათა მინიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული.

მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით, აკადემიური თანამდებობის დაკავებისთვის კანდიდატს მოეთხოვება:

1. **პროფესორი** - ტელე-რადიო მაუწყებლობაში ან/და კულტურის ჟურნალისტიკის მიმართულებით პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის არანაკლებ 6 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. **ასოცირებული პროფესორი** - ტელე-რადიო მაუწყებლობაში ან/და კულტურის ჟურნალისტიკის მიმართულებით პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის არანაკლებ 4 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. **ასისტენტ-პროფესორი** - ტელე-რადიო მაუწყებლობაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. **ასისტენტი** - უნდა იყოს დოქტორანტი. არ უნდა იყოს ზღვრული ასაკის. პრაქტიკული მოღვაწეობის სტაჟი არ მოეთხოვება.